თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 3

ქ.თელავი

20. 03. 2023 წ.

თავმჯდომარეობდა: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლევან ბერძენაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თინათინ ხანჯალიაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, მიხეილ დაღუნდარიძე, მარიამ ლილუაშვილი, გივი ლაფაური, ბაადურ გულიაშვილი, იმედა კევლიშვილი, გიგი გიგიტელაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი ქეთევან ილაშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის პროექტის განხილვის შესახებ

მომხს.ლ.ბერძენაშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' 2023 წლის 21 თებერვლის წერილის განხილვის შესახებ.

მომხს.ლ.ბერძენაშვილი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: **ლევან ბერძენაშვილმა** აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის პროექტის საბოლოო ვერსია გადაგზავნილი იყო საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში სამართლებრივი კონსულტაციისათვის, საიდანაც მიმდინარე წლის 14 მარტს მოსული დასკვნის შესაბამისად დაფიქსირდა გარკვეული შეუსაბამობები, რომელი ხარვეზებიც სხდომაზე წარმოდგენილი ახალი პროექტის მიხედვით არის აღმოფხვრილი.
კომისიის სხვა წევრებს საკითხის ირგვლივ მოსაზრებები ან შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

კომისიამ კენჭისყრის შედეგად ერთხმად გადაწყვიტა:

გადაწყვიტეს: დადგენილების პროექტი წარედგინოს ბიუროს დადებითი რეკომენდაციით საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

მოისმინეს: 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' 2023 წლის 21 თებერვლის წერილის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' -ში არის ცვლილება, კერძოდ ფრაქცია დატოვა ორმა წევრმა **ალექსი ძულიაშვილმა** და **იმედა კევლიშვილმა,** ამიტომ ამ ფაქტმა გავლენა მოახდინა ფრაქციის მიერ მუდმივმოქმედ კომისიებში ფრაქციის წევრების წარმომადენლობაზე. აღნიშნული ფაქტის და ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' 2023 წლის 21 თებერვლის წერილის საფუძველზე პროცედურულად საჭიროა, რომ კომისიამ ახლიდან განსაზღვროს კვოტები ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის''-თვის და უფრაქციო წევრებისათვის, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-სთან მიმართებაში ცვლილება არ არის ამიტომ მათი კვოტირება უნდა დარჩეს უცვლელი. **ლევან ბერძენაშვილმა** აგრეთვე განმარტა, რომ ვინაიდან ფრაქცია ,,ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ დარჩა

სულ 14 წევრი, ამიტომ ფრაქციის კვოტირება უნდა განისაზღვროს მაქსიმალურად 28 კვოტით. უფრაქციო საკრებულოს წევრების რაოდენობა შესაბამისად გაიზარდა და გახდა 5, შესაბამისად მათი კვოტირება უნდა განისაზღვროს 10 კვოტით. რაც შეეხება საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს, ვინაიდან ფრაქციის შემადგენლობა უცვლელია და არის 20 წევრი, ამიტომ მისი კვოტა უნდა განისაზღვროს 20-ით. საკითხს დაეთანხმნენ კომისიის სხვა წევრები, შენიშვნები ან მოსაზრებები არ გამოთქმულა.

კომისიამ კენჭისყრის შედეგად ერთხმად გადაწყვიტა: წარდგენილი იქნეს დასამტკიცებლად მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს ბიუროს სხდომაზე, საკრებულოს ფრაქციებისა და უფრაქციო წევრების საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობების ახალი კვოტები შემდეგნაირად:

1. საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ – 40 კვოტა, თითოეულ კომისიაში სულ 8.
2. საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“- 28 კვოტა, 3 კომისიაში 6, ხოლო 2 კომისიაში 5 კვოტა.
3. საკრებულოს უფრაქციო წევრის პარტია „საქართველოსთვის“ წარმომადგენლის გელა ესიტაშვილისათვის, უფრაქციო დეპუტატებისათვის ლევან კოჭლოშვილისათვის, ივანე კირვალიძესათვის, ალექსი ძულიაშვილისათვის და იმედა კევლიშვილისათვის განისაზღვროს 2-2 კვოტა თითოეულ კომისიაში.

კომისიის თავმჯდომარე ლევან ბერძენაშვილი